

ახალი თაობა



akhalitaoba.ge

რამაზ ხუხუაშვილი მაგისტრის ცხელადარი ამოთხარა

გვ.5

„მამა მე
არ მომიკლავს“



სუთშაბათი, 7 ნოემბერი, 2019

№264 (8218)

ფასი: 60 თეთრი

დავით ჭიჭინაძე: „ოცნება“ 2020-ში კოალიციურ მთავრობაში კი ვერ მოხვდება“



გვ.2

„მათიკაშვილი, კილაძე და კობახიძე
ივანიშვილის რეკვიემი იქნება“

ურია ნანუაშვილი: „პრეზიდენტმა შენჯალაძის სკანდალზე ყველა კითხვას უნდა უპასუხოს“

გვ.3

„მორატორიუმი არღვევს იმ ადამიანების
უფლებებს, რომელთა საკითხიც,
შესაძლოა, განხილული იყოს“



„ქართულ აკლასიკური რუსული გავლენები მცირდება“

გვ.3

პაატა ზაქარეიშვილი:
„ეკლესიის საქმეებში ყველა
ხელისუფლება ერეოდა“



ვახტანგ მაისია: „არსებობს საფრთხე, რომ რუსეთმა თბილისი-გორის მაგისტრალი დაიკავოს“

გვ.4

ანზორ აბრალაძე: „ქრისტიანულ მოქცეულ“ სააკაშვილს მრავალი არჩევნებისთვის უნდა გამოეყენებინა“

გვ.4



სუსის უფროსი საქართველოში საფრანგეთის ელჩს შეხვდა

სახელმწიფო უსაფრთხოების
სამსახურის უფროსმა გრიგოლ
ლილუაშვილმა საქართველოში საფრანგეთის
ელჩ დიეგო კოლასთან გაცნობითი
ხასიათის შეხვედრა გამართა.
შეხვედრას ესწრებოდნენ სახელმწიფო
უსაფრთხოების სამსახურის უფროსის
მოადგილეები: შენგული ფიცხელაური,
ალექსანდრე ხოჯევანიშვილი და გიგა
ნიკოლეიშვილი.



შარებმა უსაფრთხოების მიმართულებით ორ ქვეყანას შორის არსებული სტრატეგიული თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

საუბარი შეეხო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და საფრანგეთის შესაბამის სახელმწიფო უწყებებს შორის თანამშრომლობის განმტკიცების მნიშვნელობასა და სამომავლო გეგმებს. გრიგოლ ლილუაშვილმა და დიეგო კოლასმა მსოფლიოსა და რეგიონში უსაფრთხოების მიმართულებით მიმდინარე პროცესები მიმოიხილეს და ორი ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ ისაუბრეს.



5 ბიუ-ბიუს
ქათმის სოცხვი
საღმონელა
იპოვნა

2 მუჟა
ზონიმა შიოშვილი:
„შეპირუნდი, ჩაგა
ისათი რაღაცაბი
მოვისინა“

5 ლავან ოლივი, ივავე
მიღია გორაკაჟი,
თურქეთის სინაჟი
პირი ამოიქარა

6 თურქეთმა
ალ-ბადადის
სოლი დააკაჟა



დავით ჭიჭინაძე: „ოცნება“ 2020-ში კოალიციურ მთავრობაში კი ვერ მოხვდება

ნათია სურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, თქვენ განაცხადით, რომ 2020 წელი არ იქნება საქველმოქმედო, უფრო კონკრეტულად რას გულისხმობთ?

– დიახ, ნამდვილად არ იქნება 2020 საქველმოქმედო წელი. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ივანიშვილმა მოსახლეობას თხოვნით მიმართა, რომ მხარი დაეჭირათ. გარკვეულწილად, რაღაც ვალდებულება გაგვაჩნდა, თავის დროზე ივანიშვილმა და ხალხმა ერთობლივად მოახერხეს სააკაშვილის საქულველი რეჟიმის გასტუმრება. ამიტომ მოსახლეობამ ერთი წლის წინ ეს ვალი დააბრუნა.

ამდენად, ხალხის მხრიდან ვალიც დაბრუნებულია და ქველმოქმედებაც გაღებულია, შესაბამისად, ანგარიშიც გასწორებულია. ამიტომაც 2020 წელი აღარ იქნება საქველმოქმედო. ივანიშვილი ასე თამამად ვეღარ ითხოვს ხალხის მხარდაჭერას.

2012 წლიდან მოყოლებული, საზოგადოება არასდროს სთხოვდა „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში გასამარჯვებლად ფულს. ის გულწრფელად უჭერდა მას მხარს, მაგრამ ასე არ იყო 2018 წელს. საპრეზიდენტო არჩევნებზე ბიძინა ივანიშვილს მოუხდა ხალხისთვის მხარდაჭერის თხოვნა იმის სანაცვლოდ, რომ ის ყველაფერს შეცვლიდა, რომ სხვა რეალობა იქნებოდა ქვეყანაში. ხალხმა კრედიტი გასცა „ქართული ოცნების“, რასაკვირველია, პირველ რიგში ბიძინა ივანიშვილის მიმართ.

ეს კრედიტი კი დაბრუნებული არ არის.



ერთი წელი გავიდა და ვხედავთ, რომ ვერანაირად ვერ აბრუნებს ვალს. ამიტომ კიდევ თხოვნა უკვე აღარ გამოვა.

– მაშინ რა სტრატეგიას ელოდებით? შედეგებს მესავე ვაფიქროვებ, „ქართული ოცნება“ არჩევნებში გამარჯვებას?

– „ქართულ ოცნებას“ არათუ გამარჯვებისა და მთავრობის ერთპიროვნულად დაკომპლექტების, არამედ კოალიციურ მთავრობაში მოხვედრის შანსიც აღარ აქვს. მოსახლეობაში იმდენად დიდია ნეგატივი, იმდენად გაუტყურა ადამიანებს „ქართულმა ოცნებამ“ იმედი, რომ უკვე

„მათიკაშვილი, კილაძე და კობახიძე ივანიშვილის რეკვიემი იქნება“

ალარაფერი გაჭრის.

„ოცნებამ“ ნდობის ლიმიტი ამოწურა. ხალხს ოპოზიციის ნაკლებად ადარდებს. მის მიმართ პრეტენზიები ძალიან მინიმალურია. მთავარი გაბრაზება სამართლიანად ხელისუფლებაზე მოდის. ამიტომ ძალიან გაუჭირდება ხელისუფლებას, თუნდაც სხვადასხვა მანიპულირებით, სხვადასხვა მეთოდით მოახერხოს არჩევნებში გამარჯვება, ამიტომ არც ვურჩევ ამაზე ფიქრს.

რაც უფრო მეტი იქნება სინანული „ოცნების“ მხრიდან, რაც უფრო მეტი იქნება შზაობა ხელისუფლების დათმობის, ნაკლები აგრესია იქნება ხალხში მათ მიმართ. ეს მათთვისაც სასარგებლო იქნება და ქვეყნისთვისაც. რაც უნდა გაჯიუტდნენ და გაძალიანდნენ, ესენი ხელისუფლებაში ვერ დარჩებიან.

– ბატონო დავით, არ არის გამორიცხული, რომ საპარლამენტო სის პირველი ნომერი თავად ბიძინა ივანიშვილი იყოს. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?

– რა მნიშვნელობა აქვს, სის პირველი ნომერი იქნება თუ საერთოდ არსად არ იქნება. „ქართული ოცნება“ მხოლოდ ივანიშვილია და სხვა არავინ. ის ხალხი, ვისაც ვხედავთ, მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს ელატევენ, რომ რაღაც მოიპარონ და თანამდებობებზე თბილად იყვენ. ეს არის და ეს.

– პარლამენტში ისინი აქტიურობენ.

– მათ სახეებს რომ ვუყურებ, უკვე რასაც ამბობენ, იმის თვითონაც არ სჯერათ. ის მოტივაცია და შინაგანი ძალა, რომელიც უნდა ჰქონდეს მმართველ პოლიტიკურ გუნდს, მათ აღარ გააჩნიათ.

მათში მწვავე შიშია დაბუდებული, ამიტომ რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება სის პირველი

ნომერი, თუმცა, აბა, სხვა ვინ უნდა იყოს? დიახ, თავად ბიძინა ივანიშვილი იქნება სის პირველი ნომერი. სხვა რომ იყოს, ფიქტიური პირველი ნომერი იქნება, ზუსტად ისეთი, როგორც ხელი-სუფლებას.

არც ერთი უწყების პირველი პირი არ არის რეალურად პირველი. ყველა უწყებას რეალურად ივანიშვილი და მასთან დაახლოებული რამდენიმე კაციანი ჯგუფი მართავს, რომელთაც ივანიშვილი ენდობა. ყველა იცის, ვინ არის სახლში მასპინძელი. ილუზია არავის აქვს, ამიტომ ყველაფერზე პასუხისმგებელია ივანიშვილი.

– პარლამენტში „ქართული ოცნების“ აქტიური სახეები 2020 წლის საპარლამენტო სიაში მოხვდებიან?


– სიმართლე გითხრათ, მე მომხრე ვარ, რომ სწორედ ეს პირები, რომელსაც დღეს საზოგადოება პარლამენტში უყურებს, 2020 წლის საარჩევნო სიაში იყოს. სწორედ ამ ადამიანებთან ერთად უნდა დაიმარხოს არჩევნებზე „ქართული ოცნება“.

მათიკაშვილი, კილაძე, კობახიძე – სწორედ ეს ხალხი იქნება ივანიშვილის რეკვიემი. სის პირველი ოცნეული სწორედ კოლექტიური ზარდაღების უნდა იყვნენ, შეუძლიათ, „ქართული ოცნებას“ სახელი გადარქვან და კოლექტიური ზარდაღები დაარქვან, უკეთესი იქნება.

– რაღა დროს ზარდაღების, ბატონო დავით, პოლიტიკიდან წავიდა.

– კი, წავიდა, ბოკერია და ზარდაღების გვერდიგვერდ ისდნენ და პოლიტიკაზე საუბრობდნენ. როგორ უნდა მოახერხო, რომ პოლიტიკოსის კლასი ასე უცებ თვალს და ხელს შორის დაცეს?! სიმართლე გითხრათ, ბოკერიას ნაცვლად თავი უხერხულად ვიგრძენი.

გეუფე ზოსიმე შიოშვილი: „უპიკრუნდი, ჩაბუხი ისეთი რაღასაზი მოვისინო“



– მე თვითონ ნაკლებად ვუყურებ ტელევიზორს, მომასმენინებს და შევძრუნდი, ისეთი რაღაცები მოვისმინე. ესენი რაღაც ძალების ნაქეზებით მოქმედებენ.

ამის შესახებ ნილკნისა და დუშეთის ეპარქიის მიტროპოლიტმა, მეუფე ზოსიმე შიოშვილმა, დუშეთის საკათედრო ტაძარში ბრიფინგზე განაცხადა, რითაც მის მიმართ ნაყენებულ ბრალდებებს გამოეხმაურა.

მეუფე ზოსიმე ამბობს, რომ ბრალდებები „აბსურდი და ტყუილია“. ამასთან, მეუფე ზოსიმე ნაყენებულ ბრალდებებს ანტიეკლესიურს უწოდებს.

მიტროპოლიტი წლების წინ სემინარიაში განვითარებულ მოვლენებსაც იხსენებს და ამბობს, რომ სტუდენტების გარკვეულ ნაწილს მან თავიდანვე შეატყო, რომ „სხვა სულით გამოირჩეოდნენ“.

– არც მინდა იმის გახსენება. წარმოიდგინეთ, სტუდენტები ლექტორის კაბინეტში რომ შევარდებიან, ისეთი შფოთი და დაძაბულობები შეიქმნა, ერთსა და ვფიქრობდი, როგორმე დაძაბულობა ჩამეცხრო. მე ვუთხარი, დამშვიდდით შვილო, დაწყნარდით.

ეს სხვა სულის ხალხი იყო აბსოლუტურად, ეკლესიის მორჩილება კი არა, ეკლესიის დამორჩილება სურდა იმ ხალხს, ვინც ამით უკან იდგა. ზუსტად ვერ გეტყვით, ამ ხალხს უკან ვინ იდგა. საეროს არ დავასახელებ, მაგრამ სასულიერო, ყოფილი მღვდელმთავარი ქრისტეფორე ნაშალაძე რომ იყო, ის ადრევე დაუპირისპირდა ეკლესიას, ადრევე მოხვდა დაპირისპირებაში და ეს იმის ხალხია.

თავიდანვე შევამჩნიე ეს უცხო სული, ამათ შფოთი, არეულობა და დაძაბულობა უნდოდათ ეკლესიაში, – განაცხადა მეუფე ზოსიმემ.

ჟურნალისტების კითხვაზე, რომელიც აღწერს პერიოდში ზვიად გამსახურდიას სემინარიაში მისვლას უხეზოდა, მეუფე ზოსიმემ უპასუხა, რომ გამსახურდიას სემინარიაში იმყოფებოდა და მისი იქ მისვლით ჩოჩქოლი და შფოთი შეიქმნა.

– მე მითხრეს, რომ მოსულა გამსახურდიას. როდესაც გავედი გარეთ, უკვე ჩოჩქოლი დაინახე, მასთან ახლოს არ მივსულვარ. როგორც ჩანს, ის თვალს ადევნებდა იმ ამბებს, რაც იქ ხდებოდა. არ ვიცი, ის თავისი ნებით მოვიდა თუ ვინმემ გააგებინა, მაგრამ ერთია, რომ იქ მოსვლით ჩოჩქოლი და შფოთი შეიქმნა, – განაცხადა მეუფე ზოსიმემ.

საფრანგეთში მოღვაწე მღვდელმა, მამა გიორგი სხილაძემ, ფეისბუქში 1988 წელს მომხდარი საეკლესიო შექსულური ძალადობის შესახებ დანერა. მაშინ მეუფე ზოსიმე სასულიერო სემინარიის რექტორი იყო.

ბოკერია: „საბჭოთა ჭაობის მენტალიტეტის პრაზიდენტ გეუფეს“

– სამწუხაროდ, საბჭოთა ჭაობის მენტალიტეტის პრეზიდენტი გეუფეა.

ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერია იმ პერიოდის მენტალიტეტთან შეწყალების საკითხზე საუბრისას განაცხადა.

მისივე თქმით, მის მიერ მიღებული სკანდალურ გადაწყვეტილებებში ბევრი საეჭვო გარემოებაა.

– საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა კრიტერიუმებით, რა ტიპის დანაშაულებზე, რა გარემოებებში იღებს პრეზიდენტი გადაწყვეტილებას. ამ თვალსაზრისით დღევანდელმა პრეზიდენტმა ნაბიჯი გადადგა უკან, იმით, რომ იქამდე ეს უფრო მოწესრიგებული იყო.

ამ ადამიანმა გააუქმა ეს სტრუქტურაც და მეტი შემთხვევით გავიგეთ, რომ ამ ტიპის სკანდალური გადაწყვეტილება მიიღო.

ყველაზე სამარცხვინო ამბავი იყო ივანიშვილის გუნდს ზოგადად ეს ახასიათებს, ივანიშვილის ამ რჩეულსაც, ქალბატონ ზურაბიშვილს, რომ როცა აღმოჩნდა, ერთ-ერთი შეწყალე-



ბულის მსხვერპლი იყო მათი აქტიური მხარდამჭერი, მათ შორის მისი კამპანიის მხარდამჭერი ცნობილი ოჯახიდან, ზურაბიშვილმა ჩათვალა, რომ ამ ოჯახისთვის უნდა მოეზოდინებინა და ეთქვა, რომ არ იცოდნენ და გამოეპარათ, ანუ ეს ადამიანი გამოარჩიეს და სხვები არ აინტერესებთ.

აი, ასეთი უტიფარი, საბჭოთა ჭაობის მენტალიტეტის პრეზიდენტი გეუფეს, სამწუხაროდ, – განაცხადა გიგა ბოკერია.

ირაკლი ღარიბაშვილი სომხეთის თავდაცვის მინისტრს შეხვდა

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სომხეთის თავდაცვის მინისტრ დავით ტონოიანს შეხვდა.

გაცნობითი ხასიათის შეხვედრა საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში გაიმართა.

ირაკლი ღარიბაშვილმა სომეხ კოლეგას საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობისათვის მადლობა გადაუხადა.

შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოსა და სომხეთის შორის კეთილმოზონური ურთიერთობებზე ისაუბრეს. ყურადღება გამახვილდა რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების საკითხებზე. საქართველოსა და სომხეთის თავდაცვის მინისტრებმა არსებული ორმხრივი ურთიერთობების საკითხები განიხილეს და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.



ბოლო 4 წელიწადში საქართველოში ყველაზე მეტი უპიკრუნდი ქონება რუსეთის მოქალაქეებმა იყიდეს

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონების 40% რუსეთის მოქალაქეებზე მოდის.

ამის შესახებ საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილშია აღნიშნული, რომელიც მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ფარგლებში შემუშავდა.

2015-2018 წლებში საქართველოში უძრავი ქონება საკუთრების უფლებით რუსეთის 15.133-მა მოქალაქემ დაარეგისტრირა.

ბოლო 4 წლის განმავლობაში მზარდა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ საქართველოში უძრავი ქონების საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შემთხვევები.



უცხო ქვეყნის მოქალაქეები, ძირითადად, ბინებს ირეგისტრირებენ საკუთრების უფლებით.

2018 წელს წინა წელთან შედარებით თითქმის გაორმაგდა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ ბინის რეგისტრაციის შემთხვევები. ასევე გაზრდილა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შემთხვევები. სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შემთხვევები კი მკვეთრად შემცირებულია, რაც უცხოელთათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლებით მოპოვებაზე 2017 წლის ივნისში გამოცხადებულ მორატორიუმს უკავშირდება.

2018 წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე 11.038 ბინა, 1.332 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და 189 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა გაიყიდა.

ახალი თაობა
გამოცემის
 1993 წლის
 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოლო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ალღანიშვილი

საფინანსო სამსახური – ვლარა ბალაგაძე
 სარედაქციო სამსახური – 294-02-55

დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გარეკვლავის სამსახური – მერაბ ლევინაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მ-3 სართული.
 ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
 ვებგვერდი: www.akhaliatoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.



პანტანო მაისია: „არსებობს საფრთხე, რომ რუსეთმა თბილისი-გორის მავისტრალი დაიკაოს“

გულიკო ბაღაძე

ბათუმში უსაფრთხოების კონფერენცია გაიმართა. რა საფრთხეები ემუქრება საქართველოს სახელმწიფოს? რატომ არ განახლდა სახელმწიფო უსაფრთხოების კონფერენცია? საიდან ხორციელდება კაბერშეტიკა? — „ახალი თაობა“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისიაა პასუხობს.



– ბათუმში ტარდება უსაფრთხოების კონფერენცია. რა მიზანი შეიძლება ჰქონდეს ამგვარ კონფერენციებს და რა შედეგი შეიძლება მივიღოთ აქედან? ამ ეტაპზე რა საფრთხეები აქვს საქართველოს?
– უსაფრთხოების კონფერენცია, 2010 წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად იმართება თავდაცვის სამინისტროს ეგიდით. აქ ძირითადად ხორციელდება საქართველოს წარმომადგენელთა ასპარეზზე ჩვენი საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების კუთხით. აქედან გამომდინარე, უსაფრთხოების პრობლემებსა და საფრთხეებზე საუბარი. ეს არის ამ კონფერენციის მთავარი აზრი.
საქართველოში ჩამოდიან სახელმწიფო მოღვაწეები, პოლიტიკოსები, სხვადასხვა სახელმწიფოს წარმომადგენლები. შესაბამისად, მიმდინარეობს ამ საკითხების განხილვა.
– ოკუპაცია ჩვენთვის ყველაზე დიდი საფრთხეა, რომელიც რუსეთიდან მომდინარეობს. კიდევ სხვა საფრთხეები შეიძლება იქნეს განხილული?
– არის რეგიონული უსაფრთხოების სა-

კითხვები, აგრესიული სეპარატიზმის გაძლიერება, რეგიონში არსებული უსაფრთხოების დილემები, ჩვენს მეზობლებს შორის არსებული პრობლემები, მათ მიერ შეიარაღების შექმნა და მთიან ყარაბაღთან დაკავშირებით სიტუაციის სავარაუდო გართულება. იგივე აღმოსავლეთის საკითხი პირდაპირ ჩვენს საზღვრებს მოუახლოვდა.
– სირიის პრობლემებს გულისხმობთ?
– სირიაში არსებული სამომავლო მდგომარეობა და ვითარების გაუარესება ასევე ახდენს ჩვენზე გავლენას, რადგან ლტოლვილების ნაკადი წარმოიშობა და წამოვა. არის აგრეთვე ჯიჰადისტური შავი ტრანზიტის საფრთხე. კიდევ არის სხვადასხვა გამოწვევა, რომელიც მომდინარეობს არა მხოლოდ რუსეთის აგრესიული ქმედებებიდან რეგიონში.
– ჩვენ როგორ უნდა გავუმკლავდეთ არსებულ საფრთხეებს?
– საჭიროა თანამედროვე სამხედრო სტრატეგიის შემუშავება, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განახლება, წარმოჩენა, შესწავლა. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია 2011 წლი-

დან არ განახლებულა.
– ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განახლების საჭიროება არ იყო?
– საჭიროება როგორ არ იყო.
– აბა, რატომ არ განახლდა?
– არ ვიცი. მიზეზი შეიძლება იყოს, როგორც წინა შემთხვევაში, პროფესიონალიზმის დეფიციტი (რომელიც ჭარბობს), პროფესიონალების არმყოფად შესაბამისი სახელმწიფო უწყებებში, იმის არდანახვა, რომ საკუთარ ეზოში სიტუაციას ვუყურებთ, ვხედავთ რაღაც მოვლენებს, რომლებსაც შეიძლება დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდეს პოლიტიკური კუთხით და სწილოს მნიშვნელობას ვანიჭებთ. ვერ ვხედავთ, ჩვენ ირგვლივ ჭიშკრის მიღმა სიტუაცია როგორ ვითარდება და რა საშიშროებები და გამოწვევები მოდის ჩვენკენ. ეს არის არაპროფესიონალიზმის კიდევ ერთი კრედო.
– ახლო აღმოსავლეთში არსებული ვითარებიდან და რუსეთ-თურქეთის კავშირთაგან გამომდინარე ხომ არ არის ამერიკის გადაწყვეტილება, რომელიც ამ რეგიონში მისი საჯარო ნაწილის ახლო აღმოსავლეთში ნავთობის საბადოების დაცვის მოტივით დატოვებას ეხება?
– ამერიკის ადმინისტრაცია ცოტა ცვლის თავის გადაწყვეტილებას არაპროფესიონალიზმად კონტექსტში. რუსეთ-თურქეთის მჭიდრო კავშირმა და შეთანხმებამ ამერიკული მხარე დააშინა. ჩათვალეს, რომ სირიიდან ამერიკული კონტინგენტის გაყვანა მათი პოზიციების დათმობას ნიშნავდა. ტრამპი ეძებს გამოსავალს, რომ როგორც ამერიკული გავლენა შეინარჩუნოს ახლო აღმოსავლეთში, თუნდაც სირიის ტერიტორიაზე.
სიტუაცია ასევე რთულია ირანში, სადაც მთავრობის ნინააღმდეგ სერიოზული გამოსვლები და დაპირისპირებაა. ფაქტობრივად, დღე-

დღევე ირანში შეიძლება დაიწყო არაპროფესიონალიზმად მოვლენები, ირანი გადაიტყვევოს სომხეთს და ანუ არსებობს რისკი ქვეყნად და იქ არსებული სიტუაცია კიდევ უფრო აირიოს, რაც მთლიანად შეცვლის ახლო აღმოსავლეთში არსებულ ვითარებას.
სირიაში არსებული სიტუაციის დასტაბილურებაც დიდ ძალისხმევას მოითხოვს. სპარსეთის ყურესა და იემენში გამაღებელი ომია, რაც კიდევ უფრო ზრდის საფრთხეებს. გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული დაპირისპირების ნიშნებიც არსებობს. ეს ყველაფერი ქმნის დიდი აფეთქების ტენდენციას მთლიანად ახლო აღმოსავლეთში. საუბარია აღმოსავლეთზე, მდარბზე, სპარსეთის ყურესა და შავი ზღვის აკვატორიაზე, რომელიც პირდაპირ კავშირშია ამ სივრცესთან.
– მთიან ყარაბაღში მოსალოდნელი გართულება ახსენეთ. მთიან ყარაბაღთან დაკავშირებით რა გართულებები შეიძლება იყოს მოსალოდნელი?
– ორი წლის წინ მთიან ყარაბაღში 5-დღიანი სომხეთ-აზერბაიჯანის ომი იყო, მათ შორის კონფორტაცია მოხსნილი არ არის. ორივე მხარე შეიარაღების შეწყვეტას ახორციელებს, რაც რეგიონს უსაფრთხოების დილემის წინაშე აყენებს.
– როგორ?
– რეგიონში ვითარდება უსაფრთხოების დილემა, როდესაც ორი სახელმწიფო გამაღებულად იარაღდება, შეიარაღდება დიდ თანხებს ხარჯავს და აკეთებს ურთიერთსანაღმდეგო განცხადებებს. ამგვარმა ურთიერთობამ 2017 წელს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ხუთ-დღიანი ომი გამოიწვია, რომელიც დიდი ძალისხმევით, უშუალოდ დიდი სახელმწიფოების ჩარევით შეჩერდა. ამ ომის საშიშროება კვლავ ძალაშია. გაგრძელება მე-7 გვერდზე

„ქრისტიანად მოქცეულ“ სააკაშვილს მრავლი არჩევნებისთვის უნდა გამოეყენებინა“

ანზორ აბრალავა: „საექვო წარსულის მქონე საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები პოლიტიკაში აქტიურად შემოდიან“

მარიამ მჭედლიშვილი

აქტიუალურ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას.

– „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ყოველდღე იმორევენ, რომ ივნისში ნაცმოძრაობას დაგვეგმილი ჰქონდა – სახელმწიფო, ამ შემთხვევაში კი – საეკლესიო გადატრიალება. მათი თქმით, საქართველო ორივე რეჟიმის გადასვლაზე, ამ განცხადებებს საფუძველი რომც ჰქონდეს, ხალხს ასეთი პროპაგანდა აღარ სჯერა.
– პირადად მე ადრე ბევრჯერ მისაუბრია სააკაშვილისა და მისი პარტიის მცდელობებზე, მიენწყოთ ვარდების ახალი რევოლუცია. წინა წლებში ეს მცდელობები ჩავარდა. შეიძლება, ნაციონალური მოძრაობის თემა გაცვდა, როგორც ვატყობ, ასეთია ჩანაფიქრი – ყველა დავიკლოთ ამ თემით და წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილ უმძიმეს დანაშაულებზე აღარ ვილაპარაკოთ. რაც შეეხება „ქართული ოცნების“ ამ განცხადებებს, ისინი უსაფუძვლო სულაც არ არის.
– ეკლესიაზე შეტევაც ნაცმოძრაობის მონაწილეობითა?
– ამას ადასტურებს ფაქტების ქრონოლოგია. სამუშაოდ, პოლიტიკურ ასპარეზზე გვყავს ანტისახელმწიფოებრივი რევანშისტული ძალები.
ამ ძალებმა კიდევ ერთი რევანში ივნისში ცადეს. ისინი საეკლესიო პროცესების ორგანიზატორები იყვნენ. გავისხენოთ, რა უძლოდა წინ ამას. სააკაშვილი გამოგვეცხადა ეკლესიურ ადამიანად. ეტყობა, საკუთარ თავს შთააგონა, რომ

მოექცა, სავლე იყო და პავლე გახდა. ბოკერიაზე სიმართლე თქვა, მაგრამ ის არ გასხენებია, რომ თვითონ, ბოკერია, უგულავა და ხლები ერთად ებრძოდნენ ეკლესიას, როცა ხელისუფლებაში იყვნენ. ისინი უცვივდებოდნენ იერარქებს საპატრიარქოში, შედიოდნენ ეკლესიების საკურთხეველებში. ზოგიერთი მათგანი ნარკოტიკული ან ალკოჰოლური (ან ორივე ერთად) თრობის ქვეშ იმყოფებოდა ეკლესიის ეზოში.
ეს კადრები მთელმა საქართველომ ნახა. მეზობელი ათისტი სააკაშვილი უცებ გარდაიქმნა მართლმადიდებლობის დამცველად. ცოტა ხანში არენაზე გამოჩნდა პეტრე ცაავა, რომელსაც ჭყონდიდის ეპარქია ებარა. სააკაშვილმა გამოიყენა პეტრე.
– რა მიზნით?
– ჩაფიქრებული იყო, რომ „ქრისტიანად მოქცეულ“ სააკაშვილს არჩევნებისათვის გამოეყენებინა მრავალრიცხოვანი მრევლი. თუ პეტრე ცაავას სათქმელი ჰქონდა, აქამდე სად იყო? ადრე ეთქვა. ის გამოიყენეს, როცა დასჭირდათ დროსა და სივრცეში, მაგრამ ამაოდ დაშრენენ.
დღეს პეტრე კიდევ აკეთებს განცხადებებს, მაგრამ ის აშკარად შემინებულია, მცირერიცხოვანი ამფსონების გარდა, არავინ ჰყავს. იგი ხვედება, რომ თავდასხმები ჩაუფლავდა.
ხალხის ურწმუნობას დაუსჯევლობა იწვევს. ხელისუფლება ბევრს ლაპარაკობს ნაცმოძრაობის წარსულს დაწაფულებზე, ასევე რევანშისტულ მცდელობებზე, მაგრამ პასუხს არავის აგებენ. ეს საზოგადოებას ალიზინებს. თუ ადამიანი დამნაშავეა, მის დანაშაულზე წლები კი არ უნდა ილაპარაკო, კანონის შესაბამისად ზომები უნდა მიიღო!
ნაციონალური მოძრაობა და „ევროპული საქართველო“ უმთავრეს ოპოზიციად არიან გამოცხადებული, სხვა სოციალურ ჯგუფებს, ინდი-



ვიდებს, ქვეყანაზე გულშემატკივარ ადამიანებს სატელევიზიო ტრიბუნა დასწული გავაქვს. „ახალი თაობის“ ხალხი თვისუფალია. ადამიანების მიერ გამოწვეულია. ნაცმოძრაობასა და ევრონაცებს ბოლო ხანს ევროპაში მიემატენ ასევე პრივილეგიები ბიზნესჯგუფები?
– პოლიტიკაში მოსული ბიზნესჯგუფები?
– რასაკვირველია. საექვო წარსულის მქონე საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები აქტიურად შემოდიან პოლიტიკაში. ტელევიზიის ფინანსური ინტერესი ამოძრავებთ და ამ ბიზნესმენებს რეკლამას უკეთებენ. არავის ინტერესებს, აქვს თუ არა ამ ხალხს ინტერესთა კონფლიქტი და როგორ გახდნენ ბიზნესმენები.
– რას გულისხმობთ?
– მსხვილ ბიზნესმენებს, რომლებმაც ფული საქართველოში იშოვეს, მძიმე წარსული აქვთ. ფიგურალურად რომ ვთქვათ, ყოფილი საბჭოთა დირექტორები მყისიერად გახდნენ მენარშეები და ბანკირები. იმ წლებში მოხდა დიდი ქონების მიტაცება. ახლა ბევრი დანაშაული ხდება ქონებისა და ფულის ნიადაგზე, რაც, უმეტესად, იმ წლების გამოხატულია.
– ანგარიშსწორების შემთხვევებზე საუბრობთ?
– რა თქმა უნდა. ქონების არასწორი გადახადებისა და მიტაცების გამო დაჩაგრული ადამიანები მიმართავენ შურისძიებას. ბევრი ასეთი მძიმე ფაქტი ვერ ხვდება ხალხის ყურადღების არეში. ეს ახალი ბიზნესპოლიტიკოსები ბიძინა ივანიშვილს ვერ მოეწონია.
– ბიძინა ივანიშვილის მიერ დაანონსებულ ობიექტების გაყიდვას რას უკავშირებთ?
– ჩემი ვარაუდით, იგი იწყებს ბიზნესის სოციალიზაციას. ალბათ, ეს იქნება ამ ობიექტების აქციონირების ხელშეწყობა (სახელობით,

დროებითი აქციები), აქციების გატანა საფონდო ბირჟაზე.
უბედურება ის არის, რომ რაც არ უნდა გააკეთოს, ნაცმოძრაობა და „ევროპული საქართველო“ მის მიმართ სიძულვილის ენას გამოიყენებენ.
– ეს პარტიები სიძულვილის ენას იყენებენ?
– ბოკერია ყოველთვის იყენებდა ზიზლის ენას. რამდენიმე წელიწადია, მას დაემსგავსა რომან გოციონიძე. არ მესმის, რამ ააცუნდრუკა ასაკით უფროსი კაცი! ჯობია, საკუთარ წარსულს მიხედოს! ეს პოლიტიკოსები სხვებს ასწავლიან, რომ სიძულვილის ენა არ გამოიყენონ, ამ დროს თვითონ სულ ზიზლს აფრქვევენ.
– მმართველ პარტიას აქვს ამბიციის, 2020 წლის არჩევნებზე 60% აიღოს. ვის აზნიებენ ამ ამბიციის აქციები?
– ეს საარჩევნო ტაქტიკაა, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება არ უნდა დაუთმობთ. ვისაც უნდა, თავისი გეგმა გამოაცხადოს. მაგალითად, ბოკერიას შეუძლია თქვას, რომ მისი პარტია 80%-ს აიღებს. მთავარი პრობლემა განცხადებები არ არის. პრობლემა უთანასწორო გარემოა. პარტიას უნდა ჰქონდეს ტრიბუნა და საკუთარი ხმების დაცვის საშუალება.
– საზოგადოების უდიდეს ნაწილს ბოკერიას „ევროპული საქართველო“ „ქართული ოცნების“ კონკურენტად არ მიანიჭია. ადამიანები ამ პარტიებს შორის გარიგებაზე ლაპარაკობენ.
– პოლიტიკა დიდი თეატრია და, არ არის გამორიცხული, ბოკერიას მასში თავისი როლი ჰქონდეს ნიკოლოზოვს. სხვანაირად ის და მისი გარემოცვა ასეთ პატივში არ ეყოლებოდათ.
მუდმივი კავშირი მაქვს ევროპულ კოლეგებთან. ევროპელები ამათზე ამბობენ, რომ ასეთ ოდიოზურ ხალხს პოლიტიკაში არაფერი ესაქმება. ბოკერია და მისი ამფსონები თვითონ უყრიან საკუთარ თავს ჭორებს იმაზე, თითქოს მენეჯმენტი იყვნენ, განათლებულები და პროგრესულები არიან, არადა, ბრუნდებიან ჰევანან.
– რატომ ბრუნდებიან?
– ბრუნდებიან დროს რასაც ჩართავენ, ყველგან ის იყო. ახლა ყველგან ბოკერია და მისი პარტიაა.
– პარსსევის თბილისისა და ბათუმის კინო-თეატრებში გადის ახალი ქართულ-შვედური ფილმი „და ჩვენ ვიცეკვებთ“, გიგანტური, საზოგადოების ჯგუფები პირებზე ჩვენების ჩაშლას.
– რეჟისორებს აქვთ უფლება, გადაილონ ფილმები რომოსეულალებზე, მაგრამ საზოგადოებაში არიან სხვა ჯგუფებიც. მათ მიანიჭია, რომ ეს არის ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა. ისინი უფროსი ხალხის თავისუფლება, მეორეს რატომ არ უნდა ჰქონდეს? ზოგს თავისუფლება ჰგონია ჰომოსექსუალიზმის, პროსტიტუციისა და ნარკომანიის რეკლამირება.
ეს არის ქაჯობა და გამოძობა. საქართველო არც ამგვარი თავისუფლებაა და არც როსტომ ხანის დროინდელი კინტოს ფსიქოლოგია.

უჩა ნანუაშვილი: „არჩილანგა შეწყალავს სკანდალზე ყველა კითხვას უნდა უპასუხო“

დახაწყისი მე-3 გვერდზე რაღორე ორგანიზაციის მიერ, რომელიც ამ საქმეს სწავლობდა თავიდან ბოლომდე. ასეთი დასკვნა არსებობს ამ საქმეზე და ეს უნდა იყოს საკმარისი იმისთვის, რომ ამ საკითხის განხილვა მოხდეს. ბოლო პერიოდში კიდევ გამოჩნდა სხვა საქმეები, რომლებიც კავშირშია მამალაძის საქმესთან. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ პრეზიდენტს ვაღიუხლებ აქვს, ეს საქმე განხილოს, მით უმეტეს, რომ ახლა უკვე სასულიერო პირების მხრიდანაც არსებობს მომარტვა. ეს არის საკითხი, რომლის განხილვაც მას მოუწევს. შესაბამისად, ამ საქმეზე მას მოუწევს საზოგადოებისთვის პასუხის გაცემა.

– მან თქვა, მხოლოდ ეს საკითხი განიტყვებთ უფრანკალად, როცა სხვებიც ელოდებიანო. ეს რა რიტორიკაა პრეზიდენტის მხრიდან, როცა მიუთითებს მედიას, რა კითხვა უნდა დასვან?
– რა თქმა უნდა, ყოველთვის არის სხვა საქმეები. მამალაძის საქმე არ არის ახალი. სასამართლოს მიერ დაახლოებით ორი წელია გამოტანილია განაჩენი. ალბათ ესეც ბევრ რამეზე მეტყველებს. როდესაც არსებობს საზოგადოებისა და საპატრიარქოსგან ეს მოთხოვნა, პრეზიდენტმა, როგორც მინიმუმ, პატივი უნდა სცეს.

